ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტი

საველე ვიზიტი გორში

2018 წლის 23 თებერვალი

ვიზიტი განხორციელდა :

1. გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა
2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“
3. გორის ტუბერკულოზის ცენტრი

ვიზიტის მიზანი:

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსისა და ტუბერკულოზის პროექტების მიმდინარეობის სტატუსის შეფასება, მათი განხორციელების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება.

ვიზიტის ამოცანები:

1. პროგრამის ქვე და ქვე-ქვე- კონტრაქტორებისგან ინფორმაციის შეგროვება გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელებისა და აქტივობების შესახებ;
2. გრანტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა;

მეთოდოლოგია:

- ✓ გასაუბრება გლობალური ფონდის პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან;
- ✓ გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

1. **გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა**

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ხათუნა კოლოტაშვილი - გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

ლიანა ფიცხელაური - გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, სოც.მუშაკი

ნათია ცუცქირიძე - - გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, ექიმი-ნარკოლოგი

ირმა ღვინიაშვილი - - გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის თანამშრომლებთან გასაუბრებისას ითქვა, რომ ჩანაცვლების პროგრამა შეუფერხებლად მიმდინარეობს. პაციენტების რაოდენობა 1 ივლისის შემდეგ გაორმაგებულია, ხოლო პირობები გაუმჯობესებული. ცენტრს მედიკამენტის საკმარისი მარაგი გააჩნია, ასევე დროულად ხდება მომარაგება. მედიკამენტის გაცემა შესაბამისი პროგრამის საშუალებით ხორციელდება, რომელსაც არანაირი ხარვეზი არ აქვს.

ამ დროისათვის ცენტრის ბაზაზე 150-მდე პაციენტი იღებს ჩანაცვლებით მკურნალობას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცენტრი განთავსებული იყო სამედიცინო ცენტრ „გორმედის“ ტერიტორიაზე, სადაც შედარებით პატარა სივრცე ეკავა. გასული წლის ზაფხულში ცენტრმა შეიცვალა ადგილმდებარეობა და ქალაქის განაპირა მხარეს, იმავე ფართში განთავსდა, სადაც „გორმედის“ ბაზაზე გადასვლამდე ფუნქციონირებდა. ცენტრის ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და იძლევა უკეთეს გარემოს და შესაძლებლობებს პაციენტებისათვის შესატყვისი მომსახურების მისაწოდებლად.

შეხვედრისას ასევე ყურადღება გამახვილდა შიდა ქართლში მცხოვრები მოსახლეობისათვის მეტადონით ჩანაცვლების თერაპიის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. ითქვა, რომ რეგიონში ქ. გორის გარდა, სხვა ქალაქებში აღნიშნული სერვის არ ფუნქციონირებს, ამიტომ არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, სასურველი იქნება პროგრამის გაფართოვება სხვა რაიონული ცენტრებში. სხვა ქალაქებში სერვის-ცენტრების გახსნის მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ბაჩანა ხუციშვილი - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“, ნკტ კონსულტანტი

გიორგი გუდაძე - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“, საქყობზე პასუხისმგებელი პირი

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ პრობლემურ საკითხებზე:

მარაგების ამოწურვა და წყვეტა - ცენტრის თანამშრომლების მიერ აღინიშნა, რომ საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტისათვის **პრეზერვატივების მარაგი** მთლიანად იყო გახარჯული. თანამშრომლობის თქმი, ისინი დაახლოვებით ორი კვირის ვადაში ელოდნენ ახალი მარაგით შევსებას. საგულისხმოა, რომ გასული წლის ზაფხულის პერიოდში, დაახლოვებით 4 თვის განმავლობაში, ცენტრის ბაზაზე ასევე ფიქსირდებოდა აღნიშნული სერვისის წყვეტა პრეზერვატივები მარაგის ამოწურვისა და დროულად ვერ შევსების გამო.

PR-თან კომუნიკაციის შედეგად გაირკვა, რომ პრეზერვატივების შესყიდვა შესაბამისი მექანიზმით დროულად განხორციელდა, თუმცა გარკვეული ხარვეზი წარმოიშვა მის განაწილებასთან დაკავშირებით, რაც მალევე აღმოიფხვრა და GHRN-ს უკვე მიეწოდა განკუთვნილი მარაგი ორგანიზაციის შიგნით გადასანაწილებლად.

„ნაბიჯი მომავლისაკენ“ წარმომადგენლების მიერ ასევე აღინიშნა, რომ საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე გაიხარჯა **ნალოქსონის** მორჩენილი მარაგი. ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნული მედიკამენტის მარაგის შევსება ბოლო ორი თვის განმავლობაში არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ნალოქსონის შესყიდვა PR-ის მიერ მიმდინარე თვის განმავლობაში უკვე განხორციელდა და GHRN-სათვის მისი მიწოდება უახლოეს დღეებში მოხდება.

ვიზიტის პერიოდში ასევე გახარჯული იყო **სიფილისისა და B ჰეპატიტის სწრაფი ტესტები.** საგულისხმოა, რომ ორგანიზაცია არ იყო ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით თუ როდის მოხდებოდა ტესტ-სისტემების მარაგის შევსება.

PR-ის განმარტებით, გლობალური ფონდის დაფინასებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე ეტაპობრივად გადასვლის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია ქვეყანაში, ტესტ-სისტემების ადგილობრივად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით შესყიდვასაც მოიცავს. ამ ეტაპისათვის, სახელმწიფოს მიერ, უკვე განხორციელდა სიფილისის ტესტების შესყიდვა, რომლის განაწილება უმოკლეს ვადებში მოხდება. ასევე მალე განაწილდება B ჰეპატიტის ტესტები, რომლებიც გლობალურმა ფონდმა შეიძინა.

კომენტარი: გამოკვეთილი ხარვეზები ცხადყოფს, რომ გასაუმჯობესებელია პრევენციული მარაგების მართვის საკითხები. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის პერიოდში. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია გადაიდგას შემხვედრი ნაბიჯები, რათა თავიდან იქნას აცილებული პრევენციული სერვისების წყვეტა მომავალში. პირველ რიგში, მიზანშეწონილია GHRN-ის მიერ მარაგების შიდა გადანაწილების სისტემის უფრო დახვეწა და ეფექტიანი მენეჯმენტის უზრუნველყოფა, რათა დროულად და ეფექტიანად განხორციელდეს მისი ქუდის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებს შორის მარაგების მიმოცვლა და გადანაწილება. გარდა ამისა, აუცილებელია GHRN-ის მხრიდან PR-ის დროული და პრაქტიკული ინფორმირება არსებული სატენდერო ინტერვალისა და სხვა შესაბამისი ბიუროკრატიული პროცედურების გათვალისწინებით, რათა დროულად მოხდეს მათ მიერ შესაბამისი მასალის შეძენა. ასევე მნიშვნელოვანია PR-ის მხრიდან უფრო ზედმიწევნითი მონიტორინგისა და მეთვალყურეობის განხორციელება სათადარიგო მარაგების სრული ამოწურვა თავიდან ასაცილებლად.

3. **გორის ტუბერკულოზის ცენტრი**

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

მანანა ღონღაძე - „გორმედი“, ფთიზიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ პრობლემურ საკითხებზე:

პაციენტების მკვეთრი შემცირებისა და პაციენტზე მიბმული არსებული დაფინანსების მოდელის არაეფექტიანობის გამო **პროგრამა ძალიან დეფიციტურია,** რაც იმაში გამოიხატება, რომ არსებული რესურსები არასაკმარისი ცენტრის შესანახად. გამოითქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ კერძო მფლობელმა, ვის საკუთრებაშიც ირიცხება პროგრამის არსებული ინფრასტრუქტურა, შესაძლოა უარი თქვას კონტრაქტის გაგრძელებაზე და ტუბერკულოზის პროგრამას გაუქმება დაემუქროს.

აღინიშნა, რომ ზამთარში არსებობს **გათბობის პრობლემა,** რადგან პროგრამა ცდილობს, რომ კომუნალურ გადასახადებზე დაზოგოს ისედაც მწირი ფინანსური რესურსი.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტისათვის ჯერ კიდევ არ იყო გაცემული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის წასახალისებლად არსებული **ფინანსური ინსენტივები.** ცენტრის ხელმძღვანელობის განცხადებით იანვრის და თებერვლის ფინანსური

წახალისების გაცემა ერთდროულად, თებერვალში იქნებოდა შესაძლებელი. გლობალური ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ფულადი წახალისების კუთხით არსებული ხარვეზები წლის დასაწყისში ხაზინის მხრიდან ახალი მოთხოვნების დაკისრებით იყო განპირობებული რაზე გადაწყობასაც გარვეული დრო დასჭირდა. მოსალოდნელი დაგვიანებული გადარიცხვების შესახებ წერილებით ეცნობათ კოორდინატორებს. მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში აღნიშნული დავალიანება სრულად იქნა ანაზღაურებული.

გორის ტუბერკულოზის ცენტრში ხდება შიდა ქართლის რეგიონში არსებული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის ცენტრებიდან (ქარელი, ხაშური, კასპი) **მონაცემის შეგროვება და თბილისის ცენტრთან ანგარიშგება.** ცენტრის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისეთ რეგიონალურ ცენტრებს, როგორსაც გორის ტუბერკულოზის ცენტრი წარმოადგენს, აღნიშნულის ვალდებულება ოფიციალურად არ აქვს დაკისრებული. გამოიკვეთა აუცილებლობა, რომ საჭიროა მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგების სისტემის ოფიციალური რეგულირების ჩარჩოში ჩასმა.

გამოითქვა სურვილი **ფსიქოლოგის** კადრის დამატებასთან დაკავშირებით პაციენტთა დამყოლობის გასაუმჯობესებლად.

აღინიშნა, რომ შიდა ქართლის რაიონებში- კასპში, ქარელსა და ხაშურში პრობლემური იყო ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობისათვის **არსებული ინფრასტრუქტურისა** და **ადამიანური რესურსების** მოძიების საკითხები. გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთ ცენტრს, რომლებიც პრივატიზაციის შემდეგ კერძო მფლობელობაში გადავიდა, არასათანადო ინფრასტრუქტურა გააჩნია (მაგ. განთავსებულია სარდაფში, სადაც, შესაძლოა, არსებობდეს შესაბამისი ვენტილაციის პრობლემა). რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, იმის გამო, რომ დეფიციტურია ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობაში ჩართული მედ-პერსონალის რაოდენობა და დაბერებით ხასიათდება, დამატებითი ძალისხმევაა საჭირო ადამიანური რესურსის გასაძლიერებლად რეგიონში მდებარე ტუბერკულოზის სპეციალიზებულ სამსახურებში.